

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 2

მარაგები

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია, დაადგინოს მარაგის აღრიცხვის წესი. მარაგის აღრიცხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მისი თვითღირებულების განსაზღვრა. მარაგი აღრიცხება, როგორც აქტივი მანამ, სანამ არ მოხდება მასთან დაკავშირებული ამონაგების მიღება. სტანდარტში აღწერილია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისა და შემდგომში მისი ხარჯებად აღიარების, აგრეთვე ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის პრაქტიკული რეკომენდაციები. სტანდარტში მოცემულია აგრეთვე მარაგის თვითღირებულების განსაზღვრის წესები.

მოქმედების სფერო

2. წინამდებარე სტანდარტი განკუთვნილია ყველა სახის მარაგის აღრიცხვისთვის, გარდა:
 - ა) [გაუქმებულია]
 - ბ) ფინანსური ინსტრუმენტებისა (იხ. ბასს 32 - „*ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა*“ და ფასს 9 - „*ფინანსური ინსტრუმენტები*“); და
 - გ) ბიოლოგიური აქტივებისა, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან ნაყოფის მიღების მომენტში (იხ. ბასს 41 „*სოფლის მეურნეობა*“).
3. წინამდებარე სტანდარტი არ გამოიყენება იმ მარაგის შეფასებისათვის, რომელსაც ფლობს:
 - ა) სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი, ასევე ნაყოფის მიღების შემდეგ გადამუშავებით მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის, სასარგებლო წიაღისეულისა და სასარგებლო წიაღისეულის პროდუქტებისთვის, რამდენადაც ეს პროდუქტები ფასდება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით ამ დარგებში დამკვიდრებული მეთოდების შესაბამისად. როდესაც მოცემული მარაგი ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით აღრიცხება, მასში მომხდარი ცვლილებები აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ცვლილებას ჰქონდა ადგილი;
 - ბ) საქონლით მოვაჭრე ბროკერები, რომლებიც თავისი მარაგის ღირებულების შეფასებას ახორციელებენ გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ამ მეთოდით შეფასებული მარაგის რეალური ღირებულების ცვლილება აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში.
4. 3-(ა) პუნქტში ჩამოთვლილი მარაგი წარმოების ზოგიერთ სტადიაზე აღრიცხება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით. კერძოდ, როდესაც მარცვლეული კულტურების მოსავალი უკვე აღებულია ან წიაღისეული მადანი უკვე მოპოვებულია, ხოლო მათი გაყიდვა უზრუნველყოფილია ფორვარდული ხელშეკრულებებით ან სახელმწიფო გარანტიებით, ან, როდესაც აქტიური ბაზარი არსებობს და საქონლის არგაყიდვის რისკი უმნიშვნელოა. აღნიშნული მარაგი არ ექვემდებარება მოცემული სტანდარტის მოთხოვნებს მხოლოდ შეფასების ნაწილში.
5. საქონლით მოვაჭრე ბროკერები მოხმარების საგნებს ყიდულობენ ან ყიდიან სხვებისათვის ან საკუთარი მიზნებისათვის. 3-(ბ) პუნქტში ხსენებული მარაგი ძირითადად შესყიდულია იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი ახლო მომავალში გაყიდვა და მოგების მიღება ფასების ცვალებადობის ან მოვაჭრე-ბროკერის მარჟიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული მარაგის შეფასება ხორციელდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, მაშინ ეს მარაგი არ ექვემდებარება მოცემული სტანდარტის მოთხოვნებს მხოლოდ შეფასების ნაწილში.

განმარტებები

6. წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:
- მარაგი* ისეთი აქტივებია, რომლებიც:
- ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
 - ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამოზრდილი მარაგის წარმოების პროცესში;
 - გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.
- ნეტო (წმინდა) გასაყიდი ღირებულება* არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.
- რეალური ღირებულება* არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. (იხ. ფასს 13 - „*რეალური ღირებულების შეფასება*“).
7. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ. რეალური ღირებულება ასახავს იმ თანხას, რომელზეც იგივე მარაგი შეიძლება გაიცვალოს ბაზრის მონაწილეებს შორის, ამ მარაგის ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. პირველი არის საწარმოსათვის სპეციფიკური ღირებულება, უკანასკნელი კი არა. მარაგისათვის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება შეიძლება არ უდრიდეს რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები.
8. მარაგი მოიცავს იმ შეძენილ საქონელს, რომელიც ინახება ხელმეორედ გაყიდვის მიზნით. მათ შორის, მაგალითად, საცალო ვაჭრობის ქსელის მიერ შეძენილ საქონელს, რომელიც განკუთვნილია ხელმეორედ გაყიდვისათვის, ან მიწას და სხვა ქონებას, რომლებიც ასევე ინახება და გათვალისწინებულია გასაყიდად. მარაგს მიეკუთვნება მზა პროდუქცია ან საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები, აგრეთვე ის ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის. მომხმარებელთან გაფორმებული ისეთი ხელშეკრულების შესრულებისთვის გაწეული დანახარჯები, რომელიც არ წარმოქმნის მარაგს (ან აქტივებს, რომლებიც განეკუთვნება სხვა სტანდარტის მოქმედების სფეროს), აისახება ფასს 15-ის - „*ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*“ - შესაბამისად.

მარაგის შეფასება

9. მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.
- მარაგის თვითღირებულება*
10. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.
- შექმნის დანახარჯები*
11. მარაგის შექმნის დანახარჯები მოიცავს: მათი შექმნის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შექმნასთან. შექმნის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

გადამუშავების დანახარჯები

12. მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, მაგალითად, პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: საწარმოო პროცესში გამოყენებული შენობების, მოწყობილობებისა და აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა და ექსპლუატაციის დანახარჯები, აგრეთვე წარმოების მართვისა და ადმინისტრირების დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. ესენია, დანახარჯები დამხმარე მასალებსა და დამხმარე ცოცხალ შრომაზე.
13. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება მარაგის გადამუშავების დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრეს უწოდებენ წარმოების ისეთ დონეს, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. შესაძლოა წარმოების ფაქტობრივი დონის გამოყენებაც, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების არაჩვეულებრივად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით უნდა შემცირდეს, რომ არ მოხდეს მარაგის შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით.
14. საწარმოო პროცესი შესაძლოა გულისხმობდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე სახეობის პროდუქციის წარმოებას. ეს ხდება მაშინ, როცა იწარმოება კომბინირებული პროდუქცია, ან, როცა არსებობს ძირითადი და არაძირითადი (თანმდევრი) პროდუქცია. თუ საწარმოში გადამუშავების დანახარჯები თითოეული სახეობის პროდუქციისთვის ცალ-ცალკე არ აღირიცხება, მაშინ მისი განაწილება სხვადასხვა პროდუქციაზე ხდება სათანადო ნორმატივების საფუძველზე. მაგალითად, გადამუშავების დანახარჯების განაწილების საფუძველად შეიძლება აღებულ იქნეს თითოეული პროდუქციის შესაბამისი გასაყიდი ფასი წარმოების იმ ეტაპზე, როცა უკვე შესაძლებელია პროდუქციის ცალ-ცალკე აღრიცხვა, ან წარმოების საბოლოო ეტაპზე. თანმდევრი პროდუქციის უმრავლესობა უმნიშვნელო ხასიათისაა. ასეთ შემთხვევაში, მათი შეფასება ხშირად ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით ხდება. ეს თანხა შემდგომ აკლდება ძირითადი პროდუქციის თვითღირებულებას. შედეგად, ძირითადი პროდუქტის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი ღირებულებისაგან.

სხვა დანახარჯები

15. „სხვა დანახარჯები“ მარაგის თვითღირებულებაში ჩაირთვება მხოლოდ იმ ოდენობით, რამდენადაც იგი დაკავშირებულია მარაგის მოცემულ ადგილამდე მიტანასა და მოცემულ მდგომარეობაში მოყვანასთან. მაგალითად, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს არასაწარმოო ზედნადები ხარჯების ან ზოგიერთი დამკვეთის პროდუქციის დაპროექტების დანახარჯების ჩართვა მარაგის თვითღირებულებაში.
16. ამ პუნქტში განხილულია ისეთი სახის დანახარჯები, რომლებიც არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში, მაგრამ მათი აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯებში, რომელშიც იყო გაწეული. ეს დანახარჯებია:
 - ა) ნედლეულისა და მასალების დანაკარგების, ცოცხალი შრომისა და სხვა საწარმოო დანახარჯების ზენორმატიული თანხები;

- ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ შენახვის დანახარჯების გარდა, რომლის გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად;
 - გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის მარაგის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მათ სათანადო მდგომარეობაში მოყვანასთან; და
 - დ) გაყიდვის დანახარჯები.
17. ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში, მარაგის თვითღირებულებაში ჩაირთვება აგრეთვე ნასესხებ საშუალებებთან დაკავშირებული დანახარჯებიც. ეს შემთხვევები აღწერილია ბასს 23-ში - „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“.
18. საწარმომ შეიძლება მარაგი შეისყიდოს განვადების პირობით. როდესაც ხელშეკრულება ფინანსურ ელემენტს შეიცავს რეალურად, ეს ელემენტი, მაგალითად, განსხვავება ნორმალური საკრედიტო პირობების შესაფერის შემენის ფასსა და გადახდილ თანხას შორის, აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი დაფინანსების პერიოდში.

მომსახურების სფეროს საწარმოთა მარაგის თვითღირებულება

19. [გაუქმებულია]
- ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება**
20. ბასს 41-ის - „სოფლის მეურნეობა“ - მიხედვით, მარაგი, რომელიც შედგება ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისაგან, თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. წინამდებარე სტანდარტის გამოყენების მიზნებისათვის ეს არის მარაგის თვითღირებულება მოცემული თარიღისათვის.

მარაგის თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდები

21. პრაქტიკული მოსაზრებით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს თვითღირებულების განსაზღვრის ისეთი მეთოდები, როგორცაა, ნორმატიული და საცალო ფასების მეთოდი, თუ შედეგები მიახლოებით გაუტოლდება თვითღირებულებას. ნორმატიული მეთოდის დროს მხედველობაში მიიღება ნედლეულისა და მასალების ხარჯვის, სამუშაო ძალის გამოყენების, მწარმოებლურობისა და საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ნორმატიული დონეები. ეს ნორმები რეგულარულად უნდა გადაისინჯოს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს თანამედროვე პირობების გათვალისწინებით.
22. საცალო ფასების მეთოდს უფრო ხშირად საცალო ვაჭრობაში იყენებენ; აქ მარაგი შედგება სწრაფად ცვალებადი დიდი რაოდენობის ელემენტებისაგან, რომლებსაც ერთნაირი მარჟა (სხვაობა გასაყიდ ფასსა და თვითღირებულებას შორის) აქვთ და მათთვის შეუძლებელია თვითღირებულების გაანგარიშების სხვა მეთოდების გამოყენება. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება მარაგის გასაყიდი ფასის მიხედვით, რომელსაც აკლდება საერთო მოგებიანობის დონისათვის დადგენილი გარკვეული პროცენტის შესაბამისი თანხა (მარჟა). პროცენტულ თანაფარდობას იყენებენ იმ მარაგისათვის, რომელთა შეფასება მოხდა ფასდაკლებით, თავდაპირველ გასაყიდ ფასთან შედარებით. საცალო ვაჭრობის ქვედანაყოფებში უფრო ხშირად იყენებენ საშუალო საპროცენტო განაკვეთს.

თვითღირებულების ფორმულები

23. ცალკეული სახის მარაგის თვითღირებულება, რომლებიც არ არიან ურთიერთშემცვლელი, აგრეთვე სპეციფიკური პროექტისათვის წარმოებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება უნდა განისაზღვროს მათი ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიკური იდენტიფიკაციით.
24. დანახარჯების სპეციფიკური იდენტიფიკაცია გულისხმობს, რომ სპეციფიკური დანახარჯები მიეკუთვნება მარაგის იდენტიფიცირებულ ერთეულს. ეს არის შესაფერისი მიდგომა მარაგის ისეთი ელემენტებისათვის, რომლებიც სპეციალური დანიშნულებისაა, მათი წარმოშობის ხასიათის მიუხედავად (შემენილია, თუ წარმოებულია ადგილზე). თვითღირებულების განსაზღვრის სპეციალური მეთოდი არ გამოიყენება მაშინ, როცა მარაგი შედგება დიდი რაოდენობის ურთიერთშემცვლელი ელემენტებისაგან. ასეთ შემთხვევაში, პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის წინასწარ

განსაზღვრული შედეგის მიღების მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ მუხლების შერჩევის მეთოდი, რომელიც რჩება მარაგის შემადგენლობაში.

25. იმ მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის, რომლებიც აღწერილი არ არის მოცემული სტანდარტის 23-ე პუნქტში, გამოყენებულ უნდა იქნეს „ფიფო“ (პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში), ან საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა. საწარმომ თვითღირებულების ერთნაირი ფორმულა უნდა გამოიყენოს ყველა მარაგისათვის, რომლებსაც საწარმოსათვის მსგავსი ბუნება და გამოყენება აქვს. განსხვავებული ბუნების ან გამოყენების მარაგისათვის, შეიძლება თვითღირებულების განსხვავებული ფორმულის გამოყენება.
26. მაგალითად, მარაგს რომლებიც ერთ საოპერაციო სეგმენტში გამოიყენება, საწარმოსათვის შეიძლება სულ სხვა გამოყენება ჰქონდეს, ვიდრე იმავე ტიპის მარაგს, რომლებიც სხვა საოპერაციო სეგმენტში გამოიყენება. ამავე დროს, მარაგის განსხვავებული გეოგრაფიული განლაგება (ან შესაბამისი განსხვავებული საგადასახადო წესების არსებობა), თავისთავად არ განაპირობებს თვითღირებულების განსხვავებული ფორმულის გამოყენებას.
27. „ფიფო“ ფორმულის გამოყენება გულისხმობს, რომ მარაგის ის ელემენტები, რომლებიც პირველად შეიძინეს, იყიდება პირველად. ცხადია, სამეურნეო წლის ბოლოს შეიძლება დარჩეს ის მარაგი, რომლებიც შეიძინეს ან აწარმოეს ბოლოს. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოვეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ღირებულების საშუალო სიდიდის გაანგარიშება შესაძლებელია პერიოდულად, ან ყოველი ახლადმიღებული პარტიისათვის, მოცემული საწარმოსათვის დამახასიათებელი კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება

28. თუ მარაგი დაზიანდა, ნაწილობრივ ან მთლიანად მოძველდა, ან მათი გასაყიდი ფასი დაეცა, შეუძლებელია მათი ღირებულების კომპენსაცია. ასევე შეუძლებელია იმ მარაგის ღირებულების კომპენსაცია, რომელთა დასრულებისთვის საჭირო დანახარჯები ან გაყიდვის მოსალოდნელი დანახარჯები გაიზარდა. მარაგის თვითღირებულების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ლოგიკურად გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ არ შეიძლება აქტივების აღრიცხვა იმაზე მეტი თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია მათი გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.
29. როგორც წესი, მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერა ხდება მუხლობრივად. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო მიზანშეწონილია მსგავსი ან ერთმანეთთან დაკავშირებული მუხლების დაჯგუფება. აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა მარაგი პროდუქციის ერთსა და იმავე ასორტიმენტს მიეკუთვნება და ერთნაირი დანიშნულება აქვთ, ან, რომლებიც იწარმოება და იყიდება ერთი და იმავე გეოგრაფიულ სივრცეში და რომელთა შეფასება შეუძლებელია მოცემული ასორტიმენტის სხვა პროდუქციისაგან დამოუკიდებლად. მიზანშეწონილი არ არის რომელიმე კატეგორიის მარაგის, მაგალითად მზა პროდუქციის ჯგუფურად ჩამოწერა, ან რომელიმე საოპერაციო სეგმენტის მარაგის ერთად ჩამოწერა.
30. ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაანგარიშების მეთოდი ეყრდნობა იმ ყველაზე საიმედო მონაცემების გამოყენებას, რომლებიც ხელმისაწვდომია გაანგარიშების ჩატარების პერიოდში მოცემული მარაგის მოსალოდნელი გასაყიდი თანხის შესახებ. ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ფასების ან ღირებულების მოსალოდნელი ცვლილებები, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული იმ სამეურნეო მოვლენებთან, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, რადგან ეს მოვლენები ადასტურებს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის არსებულ პირობებს.
31. ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაანგარიშებისას გაითვალისწინება აგრეთვე ის მიზანი, რისთვისაც განკუთვნილია მოცემული მარაგი. მაგალითად, თუ მარაგი განკუთვნილია პროდუქციის გაყიდვის ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად, მაშინ ნეტო სარეალიზაციო ღირებულება გაიანგარიშება სახელშეკრულებო ფასის მიხედვით. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია უფრო მცირე მოცულობის გაყიდვა, ვიდრე საწარმოში არსებული მარაგია, ჭარბი მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება საერთო გასაყიდი ფასების მიხედვით. გაყიდვასთან დაკავშირებული ანარიცხები ან პირობითი ვალდებულებები შესაძლოა წარმოიშვას ფიქსირებულფასიანი გაყიდვის ხელშეკრუ-

ლებიდან, რომელიც აჭარბებს არსებული მარაგის რაოდენობას, ან შესყიდვების ხელშეკრულებიდან. ამგვარი ანარიცხები ან პირობითი ვალდებულებები განხილულია ბასს 37-ში - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“.

32. ნედლეული და სხვა დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია მარაგის საწარმოებლად, არ შეიძლება ჩამოფასდეს თვითღირებულებაზე დაბლა, თუ მოსალოდნელია, რომ მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში. თუ ნედლეულსა და მასალებზე ფასები ისე დაეცემა, რომ მზა პროდუქციის თვითღირებულება გადააჭარბებს მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას, ნედლეული და მასალები უნდა ჩამოფასდეს ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ნედლეულისა და მასალების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შესაფასებლად, სხვა დანარჩენებთან შედარებით, შესაძლოა საუკეთესო იყოს ჩანაცვლების ღირებულება.
33. ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, ნეტო სარეალიზაციო ღირებულება ხელახლა გაიანგარიშება. თუ აღარ არსებობს გარემოებები, რომლებმაც გამოიწვიეს მარაგის თავდაპირველი ჩამოფასება თვითღირებულებაზე დაბლა, ან არსებობს აშკარა მტკიცებულება იმისა, რომ შეცვლილი ეკონომიკური გარემოებების გამო გაიზარდა ნეტო სარეალიზაციო ღირებულება, უნდა მოხდეს ჩამოწერილი თანხის კომპენსირება (ე.ი. კომპენსირება შეზღუდულია თავდაპირველად ჩამოწერილი თანხით). სახელდობრ, მარაგის ახალ საბალანსო ღირებულებად აიღება თვითღირებულებასა და შეცვლილ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი. ეს ხდება მაშინ, როდესაც წინა პერიოდში ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით აღრიცხული მარაგი, მათი გასაყიდი ფასის დაცემის გამო, საწარმოში ინახება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდშიც, როცა მათი გასაყიდი ფასი უკვე გაზრდილია.

ხარჯებად აღიარება

34. როცა მარაგები გაიყიდება, მათი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი შემცირება ჩამოწერაში უნდა აღიარდეს იმ მარაგის თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა შემცირება.
35. ზოგიერთი მარაგი შეიძლება აღრიცხოს სხვა აქტიურ ანგარიშებში, მაგალითად, საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების კომპონენტის სახით გამოყენებული მარაგი. ასეთი მარაგის ღირებულება ხარჯებად იქნება აღიარებული მოცემული აქტივების სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

განმარტებითი შენიშვნები

36. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტებული უნდა იყოს:
 - ა) მარაგის მიმართ გამოყენებული საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა, მათ შორის გამოყენებული თვითღირებულების ფორმულა;
 - ბ) მარაგის მთლიანი საბალანსო ღირებულება და საბალანსო ღირებულებები მოცემული საწარმოს შესაბამისი საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით;
 - გ) იმ მარაგის თვითღირებულება, რომელიც ასახულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით;
 - დ) იმ მარაგის თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია მოცემული საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად;
 - ე) მარაგის ჩამოფასების ნებისმიერი ცვლილების თანხა, რომელიც ხარჯებში იყო აღიარებული პერიოდის განმავლობაში, 34-ე პუნქტის შესაბამისად;
 - ვ) ნებისმიერი ჩამოფასების ნებისმიერი უკუგატარების თანხა, რომელიც 34-ე პუნქტში განხილული წესის თანახმად აღიარებულია როგორც ხარჯად აღიარებული მარაგის თანხის შემცირება;

ზ) ის გარემოებები ან სამეურნეო მოვლენები, რომლებმაც გამოიწვიეს მარაგის ჩამოფასების თანხის უკუგატარება, 34-ე პუნქტის შესაბამისად; და

თ) იმ მარაგის საბალანსო ღირებულება, რომელიც გაცემულია გირაოს სახით ვალდებულებების დაფარვის უზრუნველსაყოფად.

37. ინფორმაცია მარაგის სხვადასხვა ჯგუფის საბალანსო ღირებულებებისა და ამ აქტივების ცვლილებების სიდიდის შესახებ, სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის. მარაგის კლასიფიკაცია, ჩვეულებრივ, ხდება შემდეგ ჯგუფებად: საქონელი, საწარმოო მარაგი, ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება და მზა პროდუქცია.
38. მოცემულ პერიოდში ხარჯად აღიარებული მარაგის თანხა, რასაც ხშირად რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას უწოდებენ, შედგება: დანახარჯებისაგან, რომლებიც თავდაპირველად იყო ჩართული გაყიდული მარაგის შეფასებაში, გაუნაწილებელი ზედნადები საწარმოო ხარჯებისაგან, აგრეთვე მარაგის ზენორმატიული საწარმოო დანახარჯებისაგან. ზოგიერთი საწარმოს კონკრეტულ პირობებში შეიძლება გამართლებული იყოს თვითღირებულებაში სხვა დანახარჯების ჩართვაც, მაგალითად, მიმოქცევის დანახარჯების.
39. ზოგიერთი საწარმო მოგებისა და ზარალის ანგარიშგების განსხვავებულ ფორმას იყენებს. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა სხვა სახის თანხების გაშიფვრა მარაგის თვითღირებულების იმ თანხის ნაცვლად, რომელიც აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად. სახელდობრ, მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ამგვარი განსხვავებული ფორმის დროს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ხარჯების ანალიზი, რომელიც კლასიფიცირებული იქნება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, აგრეთვე დანახარჯები, რომლებიც აღიარებულია მოცემული პერიოდის ხარჯებად ნედლეულისა და სამომხმარებლო საქონლისათვის, სამუშაო ძალის დანახარჯებისათვის და სხვა მიმდინარე დანახარჯები, მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში მარაგის ცვლილების ნეტო თანხასთან ერთად.

სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღი

40. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება წლიური პერიოდებისათვის, რომელიც იწყება 2005 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. რეკომენდებულია ვადამდეელი გამოყენება. თუ საწარმო ამ სტანდარტს 2005 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდებისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 40ა. [გაუქმებულია]
- 40ბ. [გაუქმებულია]
- 40გ. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 13-მა გამოიწვია მე-6 პუნქტში მოცემული რეალური ღირებულების განმარტების შეცვლა და ასევე მე-7 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს.
- 40დ. [გაუქმებულია]
- 40ე. 2014 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 15-მა – „*ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*“ - გამოიწვია მე-2, მე-8, 29-ე და 37-ე პუნქტების შეცვლა და მე-19 პუნქტის გაუქმება. საწარმომ ეს ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 15-ს.
- 40ვ. 2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ გამოიწვია მე-2 პუნქტის შეცვლა და 40ა, 40ბ და 40დ პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს.
- 40ზ. 2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა - „*იჯარა*“ - გამოიწვია მე-12 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.

სხვა ოფიციალური დოკუმენტების გაუქმება

41. ეს სტანდარტი ცვლის ბასს 2-ს - „*მარაგი*“ (გადასინჯული 1993 წელს).
42. მოცემული სტანდარტი ცვლის იმპ-1-ს - *უცვლელობა - მარაგის თვითღირებულების გამოსათვლელი სხვადასხვა ფორმულა*“.